## სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა

## (ქვეპროგრამის კოდი 06 02 19)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური მხარდაჭერა.

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები

პროგრამით მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს.

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსება

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალურ დახმარებას.

დახმარება გაიცემა:

ა) სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებზე, რომლებიც განიცდიან უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას და მათი სარეიტინგო ქულაა 1000 - დან 75 000ის ჩათვლით, წელიწადში ერთხელ 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბ) სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებზე, რომლებიც განიცდიან ეკონომიურ გაჭირვებას და მათი სარეიტინგო ქულაა 75 001-დან 100 000-ის ჩათვლით, წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

### მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები

ა) განცხადება ან/და შუამდგომლობა შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისგან;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან (ამონაწერის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ერთ თვეს);

დ) საბანკო რეკვიზიტი;

## მუხლი 7. მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება

1. სოციალური დახმარების მისაღებად, მოქალაქე წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის დასახელება და დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას სრულყოფილად;

## მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს წერილს და ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის შესასწორებლად.

## მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) თანხის გამოყოფის შესახებ.

## მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო- საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი

პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების რაოდენობა.

## მუხლი 12. პროგრამის შედეგი

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური დახმარება.